ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - შემოსავლების სამსახურსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შორის

ქ. თბილისი „26 „07“ 2013 წ.

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – „შემოსავლების სამსახური“), წარმოდგენილი მისი უფროსის ლაშა ხუციშვილის სახით და მეორეს მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ეკატერინე კერესელიძის სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებულნი მხარეებად, ეფექტური ურთიერთთანამშრომლობის უზრუნველყოფის მიზნით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ორივე მხარის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ურთიერთთანამშრომლობის მიზნით, მხარეები უზრუნველყოფენ უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის (შემდგომში - სამუშაო ჯგუფი) ფორმირებას შემდეგი შემადგენლობით:

1.1. მადინა მაყაშვილი - შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

1.2. მერი დაუშვილი - შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

1.3. სოფიო სურგულაძე - შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის საკონსულტაციო სამმართველოს მთავარი ოფიცერი;

1.4. მამუკა ნოზაძე - შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

1.5. გიორგი ჩიტაიშვილი - შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის რისკების მართვის სამმართველოს უფროსი;

1.6. ლია ფურცელაძე - შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის რისკების მართვის სამმართველოს უფროსის მოადგილე;

1.7. ლევან გობეჩია - შემოსავლების სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის დავალიანების დაფარვის ღონისძიებების განყოფილების უფროსი;

1.8. მანანა ჩინჩალაძე - შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის პროექტების დაგეგმვისა და მართვის სამმართველოს უფროსი;

1.9. თამარ პერტია - შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის პროგრამული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;

1.10. სოფიო მომცელიძე - შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

1.11. კობა ბახტურიძე - მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურის უფროსი;

1.12 სოფიკო ჭავჭანიძე - მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურის მენეჯერი;

1.13.თამარ წიკლაური - მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

1.14. დავით დევიძე - მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

1.15. სოფია გიგანი - მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურის მენეჯერი;

1.16. ეკა ხომერიკი - მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურის მენეჯერი;

1.17. ეკატერინე პაპუნიდი - მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურის მენეჯერი;

1.18. ნინო ბახია - გირავნობის, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვისა და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის რეგისტრაციის სამსახურის უფროსი;

1.19. მაია ვადაჭკორია - გირავნობის, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვისა და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის რეგისტრაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;

1.20. ზვიად ტალიკაძე - თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის უფროსის მოადგილე (უფროსის მოვალეობის შემსრულებელი);

1.21. მინდია ჯოხაძე - თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის უფროსის მოადგილე;

1.22. ეთერ ბიკაშვილი - ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მთავარი პროგრამისტი;

1.23. ნანა ნატრიაშვილი - ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ბიზნეს ანალიტიკოსი.

2. ორივე მხარის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე სამუშაო ჯგუფი:

2.1. გამოავლენს მხარეთა თანამშრომლობის სფეროში არსებულ პრობლემატიკას;

2.2. გამოვლენილი პრობლემატიკის სწრაფი და ეფექტური გადაჭრის მიზნით გეგმავს სამუშაოებს, განსაზღვრავს მათი შესრულების ვადებს;

2.3. იღებს საჭირო ზომებს კანონმდებლობით გათვალისწინებული მხარეთა ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუფერხებლად შესრულების მიზნით;

2.4. უზრუნველყოფს ელექტრონული მონაცემთა ბაზების უხარვეზო, შეთანხმებულ ურთიერთგაცვლას;

2.5. თანამშრომლობს სამუშაო პროცესში გამოვლენილ სხვა საკითხებზე.

3. სამუშაო ჯგუფის წევრი, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მეშვეობით, ამ მემორანდუმის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას/ანგარიშს პერიოდულად წარუდგენს შემოსავლების სამსახურის/საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობას.

4. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების გზით.

5. მემორანდუმის თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს მემორანდუმი შეწყვეტის თარიღამდე მინიმუმ 2 (ორი) კალენდარული თვით ადრე წერილობითი შეტყობინების მემორანდუმის მეორე მხარისათვის გაგზავნის გზით.

6. მემორანდუმის რომელიმე პუნქტის/ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად მემორანდუმის ბათილობას, თუ იგი დაიდებოდა ასეთი ბათილი პუნქტის/ქვეპუნქტის გარეშეც.

7. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

8. მემორანდუმი დადებულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან.

„შემოსავლების სამსახური“	„საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტი“
სსიპ შემოსავლების სამსახური ქ. თბილისი, 0114, ვ. გორგასლის N16 საიდენტიფიკაციო კოდი N204525585	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მისამართი: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ. N2
ლაშა ხუციშვილი შემოსავლების სამსახურის უფროსი	ეკატერინე კერესელიძე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე